2183/3-2/22 2 11032022

2183/3-2/22
11-03-2022

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

ამა წლის 3 მარტს, თქვენ როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხელი მოაწერეთ ოფიციალურ განაცხადს ევროკავშირში კანდიდატი წევრის სტატუსის მოსაპოვებლად.

რამდენადაც ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ ეროვნულ ინტერესს და გარდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესრულებისა, მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით თუ გარეთ შესაბამისი კომუნიკაციის სამთავრობო სტრატეგიით მოქმედება, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მიხედვით, მონიჭებული უფლების ფარგლებში გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია როდის გეგმავთ ან რა სტადიაშია ევროკავშირსა და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის სამთავრობო სტრატეგიის განახლების პროცესი, რომელსაც ვადა 2020 წელს გაუვიდა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია

2184/3-2/22 2 11032022

2184/3-2/22
11-03-2022

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს,

ბატონ დავით ზალკალიანს

ბატონო დავით,

ამა წლის 3 მარტს, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხელი მოაწერა ოფიციალურ განაცხადს ევროკავშირში კანდიდატი წევრის სტატუსის მოსაპოვებლად.

რამდენადაც ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ ეროვნულ ინტერესს და გარდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესრულებისა, მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით თუ გარეთ შესაბამისი კომუნიკაციის სამთავრობო სტრატეგიით მოქმედება, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მიხედვით, მონიჭებული უფლების ფარგლებში გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია რა გეგმით ხელმძღვანელობთ ახლა და როდის გეგმავთ ან რა სტადიაშია ევროკავშირსა და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის სამთავრობო სტრატეგიის განახლების პროცესი, რომელსაც ვადა 2020 წელს გაუვიდა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge